საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბიჭვინთის კონცხი

ბიჭვინთის კონცხი, კონცხი შავი ზღვის სანაპიროზე, მდ. ბზიფის შესართავის მახლობლად.

აგებულია უმთავრესად მდინარის ალუვიური ნალექებით. უკავია ნაწილობრივ დაჭაობებული ვაკე-დაბლობი. სიმაღლე 1,5 – 3 მ. ვაკის ერთფეროვნებას არღვევს ქვიშის დიუნები, ბორცვები. კონცხზე არის ინკითის ტბა. ხარობს რელიქტური ბიჭვინთის ფიჭვი (იხ. ბიჭვინთა-მიუსერის ნაკრძალი) და ბზის იშვიათი კორომი.

კონცხზე არის კურ. ბიჭვინთა.

ზ. ტატაშიძე